# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

...ღასაკვეთად და კერძო განცხადებათ... უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ... ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის... რდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ... ...ა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



## დედა-ენა

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მსხვილისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.

შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა. 10—1

### ქართული თეატრი

კვირას, 8 ნოემბერს,

არტისტის კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**სამშობლო**

ისტორიული დრამა 5 მოქმ. გადმოკ. თ. დ. ერისთავისაგან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მძინაროვისა, ბ-ნნი: ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

### სახლების აშენების ამხანაგობის მმართველობა

უმორჩილესადა სთხოვს იმ ამხანაგთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ წილის ფულის შესავსებლად, აიჩქარონ ამ ფულის შემოტანა საზოგადო კრებამდე, რომელიც დანიშნულია ნოემბრის 8. ამასთანავე ამხანაგობის მმართველობა აცხადებს, რომ ვინც ამ ფულს კრებამდე არ შემოიტანს, გამოირიცხება ამხანაგობიდგან. (5—3)


თფილისი, 5 ნოემბერი

ძველის-ძველადგანვე მუდამ ყოფილან და არიან ქვეყნად მშიერნი და მაძღარნი, მდიდარნი და ღატაკნი. ასე იყო აქამდე, ასეა ეხლაც. როგორ მოეწყობა ადამიანის ცხოვრება შემდეგში, ჯერ არავინ უწყის.

მაგრამ ამ ჟამად-კი კეთილ-გონიერება და სამართლიანობა მოითხოვს, ვეცადნეთ, ისე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ ნაკლებად ვხედავდეთ ჩვენ შორის გაჭირვებულ კაცსა, რომ შეუბრალებელმა ბედმა ან რომელმამე მუხთალმა ფათერაკმა არ დასჩაგროს ჩვენი მოძმე, რომ ურთიერთს შემწეობა აღმოვუჩინოთ და გაჭირვების დროს ხელი გავუწოდოთ და დავეხმაროთ.

დიდი საქმეა ქრისტიანობრივი მოწყალეობა და ქველმოქმედება, მაგრამ აწინდელი ვითარება ჩვენის ცხოვრებისა გვასწავებს, რომ ამით ფონს ვერ გავალთ, საჭიროა შეერთება, შეამხანაგება და ამ შეკავშირებულის ძალ-ღონით ისეთის საქმის წარმოება, რომელიც მარტო თავისის ძალ-ღონით ერთს ადამიანს არ შეუძლიან. ამგვარი საურთიერთო დახმარება დიდი, ძლიერ დიდი და ქვეყნის სასარგებლო საქმეა. ყველა წარმატებულს ქვეყანაში არსდება სხვა-და სხვა ამხანაგობა, რომელსაც საგნადა აქვს დაეხმაროს თავის წევრთ ყოველს გაჭირვებაში. ყოველს ქვეყანაში არსდება მუშათა შორის ამხანაგობანი, რომელთაც საგნადა აქვთ ერთმანეთს ხელი გაუწოდონ შველისათვის ვინიცობაა ამხანაგობის წევრი ან ავად გახდა, ან რაიმე მიზეზისა გამო უსაქმოდ დარჩა. ყოველს ქვეყანაში არსდება სხვა-და-სხვა ამხანაგობანი, რომელთაც საგნადა აქვთ უზრუნონ თავის წევრთ რიგიანი თავშესაფარი.

ვინ არ იცის, რომ რიგიანი თავშესაფარი ქოხი ყველასათვის უპირველესი საჭიროებაა, მეტადრე ქალაქ ადგილას. ვინ არ იცის, რომ ამ ქოხისთვის ადამიანი თითქმის მთელის თავისს ნაშრომნაღვაწის მესამედს ჰხარჯავს. ვინ არ იცის, რომ ამ ჟამად, ვისაც-კი ქალაქში თავისთვის ერთი ქოხი აუშენებია, როგორმე, ცოტა მაინც წელში გასწორებულა და გაჭირვება თავიდგან აუცილებია?

ყველა ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ, როგორც უკვე ვუწყით, ტფილისში დაარსდა ამხანაგობა საურთიერთო დახმარებისა, რომელსაც საგნადა აქვს თავის წევრთ სახლები აუშენოს. ამ ამხანაგობის დაარსება ფრიად სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია. სასარგებლო იქნება ეს საქმე, თუ, რასაკვირველია, ჩვენც შევიგნეთ ჩვენი სარგებლობა და მართლა მოვისურვეთ ერთმანეთის დახმარება, რაც შეიძლება ბევრმა მოვინდომეთ იმ ამხანაგობის წევრად ყოფნა და მისი გაძლიერება საწევრო ფულის ჩასვლით.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ამ ამხანაგობის შესახებ და არა ერთხელ გვექნება კიდევ შემთხვევა მისს საქმეთა გამო საუბარისა. დღეს მხოლოდ მოვაგონებთ ჩვენ მკითხველთ, რომ ზეგ, 8 ნოემბერს, ამ ამხანაგობის მორიგი საზოგადო კრებაა დანიშნული სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრება ახალ წევრთ მიიღებს ამხანაგობისას და სხვა-და-სხვა მორიგ საქმეს განიხილავს.

სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ დაიზაროს თავისის-თავისა და საკუთარ კეთილ-დღეობისთვის ზრუნვა და ამ ამხანაგობას მიემხროს. ეს დიდად სასარგებლო საქმე არავის არა სთხოვს შემწეობას, არ საჭიროებს ქველ-მოქმედებას. ვიმეორებთ, თუ ამხანაგობამ საკმარისი წევრი მოიპოვა, ეჭვი არ არის, რომ მართლა დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს საზოგადოებას.

აბრა

## ახალი ამბავი

*** გუშინ დილის მატარებლით წაბრძანდა ბათუმს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი, საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფი, პალლადი. მის უმაღლესობასთან ერთად გაემგზავრნენ ბათუმსავე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ლ. ა. მაღალაშვილი და ტფილისის ჟანდარმების უფროსი.

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 3 ნოემბერს ხოლერით ავადმყოფი იყო 2. იმ დღეს მორჩა 1 — მანაძა-ოღლი;

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება, რომ 31 ოქტომბრიდგან სოფ. ნორიოს გარდ. 1, მორჩა 4; ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. ამის გამო ხოლერიანთათვის აგებული თავ-შესაფარი გაუქმდა და ფერშალიც დაითხოვეს.

*** 5 ნოემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში ვაჭრობა იყო დანიშნული ვერის ხიდის იჯარით გაცემისა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად მოვიდა მხოლოდ ორი მსურველი. ამათა სთხოვეს გამგეობას, რომ შესცვალონ ზოგიერთი მუხლი პირობი...

## ფელეტონი

### პირველი ტალღები

(მოთხრობა)

XV *)

როგორც გადაწყვეტილი იყო, ისე მოხდა. მეორე დღეს სალომე გამოეწყო და მაროსთან ერთად წავიდა თავის დედ-მამის სახლში. იმათ გაჰყვნენ გამდელი და ორი აზნაურშვილი, რკინის გზის სადგურამდის-კი მანუჩარმაც გააცილა. დათას და მაროს არც-კი უნახავთ წასვლის დროს ერთმანეთი, რადგან სწორედ ის დრო ამოარჩია სალომემ წასასვლელად, როცა დათა და კოწია მეცადინეობდნენ. დათა თითონაც არ სცდილა მაროს ნახვას, რადგან არ უნდოდა უფრო მეტად შეეწუხებინა გუშინდელ სცენის მოგონებით.

როგორც ვიცით, მანუჩარი ნახევარჯელ არ იყო შინ და მთელ იმ ხნის განმავლობაში, სანამ სალომე და მარო ისევ არ მოვიდნენ, დათამა და კოწიამ სულ მარტოდ გაატარეს დრო. მაინც მეტი ხანი აღარ იყო და იმათ უნდა გამუდმებით ემეცადინათ. მაროსა და იმ დღის ამბავზედ-კი, თითქოს პირობა მისცეს ერთმანეთსაო, ხმაც აღარ ამოუღიათ. ერთად-ერთი სანუგეშო ის-ღა იყო დათასთვის, რომ ერთხელ კიდევ ჰნახავდა მაროს წასვლამდის. ამასთან მისი შეკერილი ბლუზა ტანთ ეცვა და თითქოს იმის მაგიერობას უწევდა.

მარიობის წინა დღეს მოვიდნენ სალომე და მარო და იმათთან ერთად სალომეს დისწული ანეტა მაღალაძისა, რომელიც ქუთაისში სწავლობდა.

მარო ნაავადმყოფარს ჰგავდა, ისეთ ნაირად გამხდარიყო და ფერი დაჰკარგოდა. დათას და მაროს ერთი სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის და ან-კი რა უნდა ეთქვათ, როცა ყველანი იმათ მისჩერებოდნენ. ანეტა რომ არ ყოფილიყო, სწორედ გლახად იქნებოდა საქმე, მაგრამ მხიარულმა, ცქრიალა, უზრუნველმა ანეტამ გამოიყვანა ყველა გასაჭირიდამ. ჯერ დათასთან გაცნობისათანავე, როცა სალომემ გააცნო, ჩემი დისწულიაო, საყვედურით მიჰმართა დეიდას:

— ბეჩა, დეიდა, „ჩემი დისწულიაო“ ეუბნები და იმას-კი აღარ ამბობ, ან სახელი რა მქვია, ან რა გვარისა ვარ.

— ანნა მერაბოვნა მაღალაძისა, სთქვა სალომემ: უკაცრავად, დამავიწყდა, ამდენ „რეკომანციის“ თავი სადა მაქვს, დავბერდი ქალი. განათლებულებიტყუილადახართ, თქვენ თითონ უნდა გაიცნოთ ერთმანეთი.

— მე დიდი ხანია ვიცნობ ამ ყმაწვილს, ეგ ვერ მიცნობდა თვარა, სთქვა ანეტამ.

— ჰოო, რა ნაირად? ჰკითხა სალომემ.

— როგორ თუ რა ნაირად? მაშ რისი „გიმნაზისტკები“ ვიქნებით, თუ გიმნაზიას ვინც ათავებს, არ გვეცოდინება. ნამეტურ დათას ყველა ვიცნობდით, როგორც უკეთესს შეგირდს მთელს გიმნაზიაში და ამასთანავე... პოეტს.

— დათა-კი ასე ამბობდა, ერთ ქალიშვილსაც ვერ ვიცნობდიო, სთქვა მარომ და შეხედა დათას.

— ეგ მართალია. მაგას ყოველთვის შორს ეჭირა ჩვენგან თავი და არ გვეკარებოდა, თუმცა წელს „ტემებიც“-კი დააწერინეს მეშვიდე კლასიანებმა.

— ოჰ, მართლა? ჰკითხა მარომ დათას.

დათას იმა, რომ მარო გამოელაპარაკა და უნდოდა, არ შეეწყვიტნა ეს ლაპარაკი.

— დავუწერე, მაგრამ ვის დავუწერე-კი, არ ვიცი, ამხანაგმა დამაწერინა, სთქვა დათამ.

— გინდათ, მე გეტყვით ვინ ისარგებლა თქვენის თხზულებით? უთხრა ანეტამ.

— ჩემთვის სულ ერთია, მიუგო დათამ.

— რომ იცოდეთ, რა ლამაზია ის ქალი, მაგრე არ იტყოდით!

— ჩემთვის სულ ერთია, განიმეორა დათამ.

— სულ ერთი როგორ არის, ლამაზი იქნება ქალი, თუ ულამაზო? ღიმილით ამბობდა ანეტა.

— ლამაზი იქნება, თავისთვის იქნება და ულამაზო იქნება კიდევ თავისთვის, მე რა?.. სთქვა დათამ.

— რას ამბობთ? მერე პოეტი მაინც არ იყოთ, ყოველის მშვენიერების მოთაყვანე!.. მაშ თქვენ ლამაზსა და ულამაზოს ერთ ნაირად დაუწყებთ ყურებას?

— ჯერ ერთი, რომ ის, რაც ერთის თვალში ლამაზია, მეორეს თვალში სრულიადაც არ არის ლამაზი, დაიწყო დათამ: კაცია და გუნებაო, ხომ გაგიგონიათ?

— ხომ დაგიჭირეთ? უთხრა ღიმილით ანეტამ; მაშ არ ყოფილა სულ ერთი თქვენთვის არც ის, ვინც ლამაზია თქვენს თვალში, და არც ის, ვინც არა.

დათამ გაიცინა. სალომემაც-კი გაიღიმა, თუმცა არ მოსწონდა ანეტას ამისთანა ლაპარაკი. მარო გულ-მოდგინედ ისმენდა ამ ლაპარაკს.

— მე მაინც მინდა შევიტყო თქვენი აზრი და გთხოვთ, მიპასუხოთ, არა, ჩუმდებოდა ანეტა.

— რა უნდა გიპასუხოს ქალო? რას ჩააცივდი ამ ყმაწვილს? უთხრა სალომემ ანეტას.

— ის უნდა მიპასუხოს, ლამაზსა და ულამაზოს ერთ ნაირად უყურებს, თუ არა? სთქვა ანეტამ.

— რა-კი აგრე გსურთ, გეტყვით ჩემს აზრს სილამაზეზედ საზოგადოთ და ქალისაზე კერძოდ. მერე, როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, დაიწყო დათამ.

— ძალიან კარგი! სთქვა ანეტმ.

— ჩემს თვალში მხოლოდ იმისთანა რამეა ლამაზი, რომელშიაც, გარეგან სილამაზესთან ერთად, შინაგანი სილამაზეც იხატება, რომელშიაც აზრი, გრძნობა გამოსჭვირის. რაც უნდა ხელოვანებით და ლამაზად იყოს გაკეთებული ბავშვის სათამაშო ტიკინი, დიდხანს ყურებას არ დავუწყებ, რადგან ვიცი, რომ შიგნით ცალიერია, თვალის მოსატყუებლად არის გაკოპწიავებული. როცა ვხედავს რომელსამე დიდებულის მხატვრის სურათს, რომელიც მარტო

*) იხ. „ივერია“, № 234.

სა, სხვათა შორის, ის მუხლი, სადაც გამგეობა სწერს, რომ როდესაც მიხეილის ხიდი შეკრული იქმნება და ეტლები ვერის ხიდს მიაწყდებიან, იჯარადარმა უნდა აძლიოს ქალაქს დღეში ათი თუმანი, გარდა იჯარისა. მოვაჭრენი სთხოვდნენ, რომ გამგეობას აეღო დღეში მხოლოდ ხუთ-ხუთი თუმანი. გამგეობამ ეს ცვლილება არ შეიწყნარა, რადგანაც წინად, როდესაც მიხეილის ხიდი შეკრული ყოფილა, ქალაქს მომეტებული შემოსავალი ჰქონია, დღეში არა ნაკლებ თორმეტ თუმან ნახევრისა. რადგანაც გამგეობა არ დასთანხმდა ამ ცვლილებაზედ, მოვაჭრეებმა აღარ ისურვეს ვაჭრობა. ამის გამო ვაჭრობა გადაიდო შემდეგისათვის.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა დასამტკიცებლად ბ-ნ გუბერნატორს გამგეობისავე დადგენილება იმის შესახებ, რომ სავალდებულოდ იქმნას მიღებული ღონისძიებათა ხმარება ტფილისში გადამდებ სენის წინააღმდეგ. ეს დადგენილება შემუშავებულია ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერის დახმარებით და მოწონებულია ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ.

*** ამჟამად ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე მოახდინა განკარგულება, შეიკრიბნენ დეპუტატები, რომელთაც დავალებული აქვთ, ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადის განაწილება ტფილისის მედუქნეთა და ბაკების პატრონთა შორის, ვისაც მომავალ 1893 წლისათვის სავაჭრო მოწმობანი აუღია. ამ მედუქნეთა სია უკვე გაეგზავნა დეპუტაციის თავჯდომარეს და შეატყობინა, რომ გარდასახადის განაწილება, 16 ნოემბრამდე გათავებული უნდა იყოსო.

*** ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ ექვსი კანდუქტორი დაითხოვა სამსახურიდგან. ამ კონდუქტორებმა მიჰმართეს რკინის გზ[illegible]რთველობას და სთხოვეს, სამსახურში ისევ მიგვიღეთ, რადგანაც სრულიად არ მიგვიძღვის ის დანაშაული, რომელსაც მმართველობა გვაბრალებსო. რკინის გზის მმართველობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა. მაშინ კონდუქტორებმა იმავე თხოვნით მიჰმართეს პეტერბურგში სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობას. ამ მმართველობამ განიხილა ამათი საქმე და 4 დათხოვნილი კონდუქტორი გაამართლა. კონდუქტორი გაბუნია, რაზმაძე, ვარდანაშვილი და ნერსესიანცი ხელ-მეორედ მიღებულ იქმნან სამსახურში. დანარჩენ კონდუქტორების, ქარაბელოვისა და ცინცაძის საქმე ჯერ არ გაურჩევიათ.

*** 5 ნოემბერს ტფილისიდგან ბათუმს წავიდა მატარებლით 595 სათადარიგო ჯარის-კაცი, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ და სამშობლოში მიდიან.

*** ჩვენ მივიღეთ ამ შემოდგომას ახლად დაბეჭდილი მეცხრე გამოცემა „დედა-ენისა“, რომელსაც სახატავები და საწერი დედანიცა აქვს ზედ-დართული. ეს ცვლილება ახლა შემოუღია წიგნის შემდგენელს, ბ-ნს ი. გოგებაშვილს. წინად „დედა ენას“ არა ჰქონდა სახატავები, რომელიც ეხლა თავში აქვს მოქცეული; არ ჰქონდა აგრეთვე საწერი დედანი, რომელიც ახალს გამოცემას ბოლოში აქვს ჩართული. ორივ ეს ახალი შემოღება სასარგებლოა ყმაწვილებისათვის, რომელთაც აღარც სახატავი და აღარც საწერი დედანი აღარ დასჭირდებათ სასყიდლად. სასარგებლოა მით უფრო, რომ ფასი წიგნისა წინანდელივეა დარჩენილი. ეს ფასი, რასაკვირველია, ძლიერ მცირეა ასე კარგად დაბეჭდილის, ვრცელისა და სურათებით შემკულის წიგნისათვის. სიკეთე ქაღალდისა, სტამბის ნამუშავრობისა, ანუ ბეჭდვისა, კორექტურისა, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ საკითხავ წიგნისათვის, შნოება და სილამაზე სურათებ-ნახატებისა სწორედ სასურველია და სასიამოვნო.

ყოველივე ესე, სანუგეშოდ, ნიშანია იმისი, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ რიგიანად მიდის პირველ-დაწყებითის სწავლისა და წერა-კითხვის გავრცელების საქმე. წიგნი რომ საკმაოდ არ იყოს გავრცელებული, ასე ვრცელი გამოცემა ვერც დღევანდელ ფასად ეღირებოდა, ვერც ასე ლამაზად და შნოიანად იქნებოდა დაბეჭდილი და შემკული სურათებ-ნახატობითა.

*** ბათუმი: ამ დღეებში ბათუმში ხოლერით სხვათა შორის გარდაიცვალა გ. ა. მეტანსი (გუბერნატორის კანცელარიის მოხელე), ს. ლოლობერიძე და თავბერიძე (ადგილობრივი ვაჭარი).

*** ქ. თელავი: კვირას, 18 ოქტომბერს, თელავის საზოგადო კრების დარბაზში გამართული იყო საცეკვაო საღამო თელავის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, კნეინა ე. ვეზირიშვილისა და ქ-ნ ა. ვოლოხოვის მეთაურობით. თელავის ბიბლიოთეკა მართლა რომ უკიდურესს მდგომარეობაშია და ეს ნივთიერი დახმარება მისთვის ფრიად სასარგებლო იქნება. სამწუხაროდ, საცეკვაო საღამომ ხალხი ძალიან ცოტა მიიზიდა, თუმცა ამ გარემოებამ არ დაუშალა დამსწრე საზოგადოებას დრო მხიარულად გეეტარებინა და ცეკვა დილის 6 საათამდე არ შეწყვეტილიყო. წმინდა შემოსავალი ბილეთებისა და ბუფეტებისა 40 მანეთამდეა.

დიდის მადლობის ღირსნი არიან კნ. ვეზირიშვილი და ქ-ნი ვოლოესოვი იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ ბიბლიოთეკის ბედ-იღბალს გაუწიეს და, თუ იმათ შრომასა და ცდას ჯეროვანი ნაყოფი არა ჰქონდა, ეს იმათ-კი არ ჩაეთვლებათ ბრალად, არამედ თვით თელავის საზოგადოებას, რომელიც, როგორც არა ერთხელ შეგვინიშნავს, ბიბლიოთეკის საქმეს ძალიან გულგრილად ეკიდება!.. ბიბლიოთეკა ამ ჟამად ძლივს იბრუნებს სულს და დღითი დღე გამოდის. თუ რომ ამ ცოტა ხანში ნივთიერი დახმარება არ აღმოვუჩინეთ, მოსპობს თავისს არსებობას და ჩვენც ყველანი ჟურნალ-გაზეთონი დავრჩებით. ყოვლად საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ბიბლიოთეკის მნიშვნელობით, მივაწოდოთ ხელი შველისა და წამოვაყენოთ ფეხზედ ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება.

*** იქიდამვე: კვირას, 25 ოქტომბერს, თელავის მაზრის უფროსმა მოიწვია ჩვენი მემამულე თავად-აზნაურნი, რათა განეხილათ საქმე საამხანაგო სარდაფის დაწესებისა. კრებას საკმაო ხალხი დაესწრო და ლაპარაკიც გაცხარებული იყო. ეტყობოდათ, რომ ეს საქმე ყველასთვის საგულისხმიეროა და მის კეთილად დაბოლოვებას შეუძლიან მოუტანოს ფრიად დიდი სარგებლობა, ფეხზედ წამოაყენოს მათი დაცემული ნივთიერი მდგომარეობა. ყველამ ერთხმად გამოაცხადა, მონაწილეობას მივიღებთ მაგ საქმეში, ოღონდ-კი წადილი აგვისრულდეს და ეს აზრი განხორციელდესო. ბევრის ბაასისა და კამათობის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, რომ ამხანაგობა პაით იყოს დაფუძნებული, პაი ჰღირდეს 50 მან. და ამხანაგობაში მიიღებდნენ მხოლოდ მემამულეთ—თავად-აზნაურთ და სასულიერო წოდებისათ თელავისა, თიონეთისა და სიღნაღის მაზრებისას. დასასრულ კრებამ კომისია ამოირჩია, რომელიც შეუდგება ეხლავე ამხანაგობის წესდების შედგენას. უმთავრესი სარდაფი იქნება ტფილისში და, თუ შეძლება ნებას მისცემს ამხანაგობას, განყოფილება თელავშიაც გაიმართება. კომისიაში წევრად ამორჩეულნი არიან: თ. დიმიტრი მაყაშვილი (თავმჯდომარე), თ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, თ. ნიკოლოზ აბაშელიძოვი, თ-ნი ალექსანდრე და სიმონ კასხასიშვილები, თ. ივანე რუსიშვილი-ყორჩიბაშევი, თ. გრიგოლ მაყაშვილი, თ-ნი ილია და იორამ ჯორჯაძენი, თ. იოსებ ქობულიშვილი, თ. სვიმონ ვეზირიშვილი და ბ-ნი ვასილ კიკნაძე.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ იერუსალიმში ერთი 115 წლის სომეხი მონაზონი გარდაცვლილა, რომელიც 17 წლისა შესულა მონასტერში, ასე რომ ამ მონაზონს 98 წელიწადი, ე. ი. თითქმის მთელი საუკუნე მონასტერში გაუტარებია და გარედ არ გამოსულა.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, როგორც გაზ. „Н. О.“ იუწყება, განზრახვა აქვს სთხოვოს ვისმე, ქართულ თეატრის დაარსების წლის თავისთვის (2 იანვარს) დასწეროს 1 მოქმედებიანი პიესა, რომელიც ქართულ თეატრის დაარსებას უნდა შეეხებოდეს, პიესის მომქმედ პირებად გამოყვანილნი უნდა იყვნენ ამ საქმის მოღვაწენი.

დრამატიულ საზოგადოებისავე მმართველობას განზრახვა ჰქონდა პირველად წარმოედგინა თ. დავით გიორგის ძის ერისთავის კომედია „საზოგადო საქმე“, მაგრამ აქამდე ეს ვერ მოახერხა, იმიტომ რომ ამ კომედიის პირველი მოქმედება განსვენებულის ერისთავის ქაღალდებში არ აღმოჩნდა, თუმცა ეს პიესა, როგორც ერისთავის ზოგიერთ ნაცნობთ ახსოვთ, ავტორს დასრულებული ჰქონია და რამდენისამე მეგობრისათვის წაუკითხავს კიდეც. დრამატიული საზოგადოება სცდილობს ამ ჟამად განსვენებულის ნაცნობთა შორის მოიკითხოს ამ პიესის პირველი მოქმედება და, თუ სადმე აღმოჩნდა, ამ პიესას წამოადგენენ.

*** გაზეთი „Т. Л.“ სწერს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას უკვე გადუწყვეტია საკუთარი სახლიააშენოს ამ გზის მმართველობისათვის. ამ სახლის ასაშენებლად განზრახვა აქვთ ბ-ნ მელმანის ადგილი შეისყიდონ ელისაბედისა და ბულვარის ქუჩებს შუა.

---

თვალს-კი არ იზიდავს, გულსა და გონებასაც ბევრს რასმე ეუბნება, იმისთანა სურათის წინ მზად ვარ მთელი დღეებიც-კი გავატარო. ასევე ჰმოქმედობს ჩემზედ ადამიანის სულის რომელიმე ვითარების გამომხატველი ქანდაკება, ან-და ხუროთ-მოძღვრების ნაწარმოები, რომელიც არხიტექტორის რომლისამე იდეით არის მოცული. ეხლა თუ-კი კაცის ხელით გაკეთებულ მხატვრობათ ასე ვუყურებ, ბუნება უკეთესი მხატვარი არ არის კაცზედ? მეც სიამოვნებით ვსტკბები ბუნების ყოველ მშვენიერებით, მისის კარგის სანახავებით, რადგან მთელი საიდუმლოა ამ სანახავებში ცხოვრებისა და გონება უნებლიედ იხიბლება მათ მიერ. თუ-კი ბუნების მშვენიერ სანახავებს, რომელშიაც რაღაც საიდუმლოებაა და სხვა არაფერი, ასე ვუყურებ, რა გასაკვირველი იქნება, თუ მშვენიერ ცოცხალ არსებას, რომლისათვისაც უკვდავი სული შთაუბერია ბუნებას, სიამოვნებით შევხედო. მეც სწორედ ასე ვუყურებ ყოველს მშვენიერს ქალს, მშვენიერს გარეგნობით-კი არა (ბავშვის სათამაშო ტიკინიც ხომ მშვენიერია ამ მხრივ), მშვენიერს სულით; ისეთს ქალს, რომლის სახეზედაც ფიქრი, გონების მოძრაობა და კეთილი გული იხატება. თუ-კი ამისთანა არსებისათვის გარეგანი მშვენიერებაც მიუცია ბუნებას, ხომ კარგი, და თუ არა, არც უიმისობით უჭირს რამე, მაინც მიიზიდავს კაცს. მარტო გარეგნობით ლამაზი-კი ერთს წუთს გააკვირვებს თვალს და, რა-კი გულს ვერაფერს ეტყვის, თვალსაც მალე მოეწყინება მისი მზერა.

დათა გაჩუმდა. ანეტას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სალომემ საჭიროდ დაინახა, შეეწყვიტა ეს საუბარი, რადგან შეატყო, რომ მაროს ხელ-ახლავ აეშალა ნაღველი, ჯერ მოუშუშებელმა ჭრილობამ ხელახლავ იჩინა პირი, და ყველანი აივანზედ მიიწვია, სადაც იყვნენ მანუჩარი, მერაბი (ანეტას მამა) და სხვა აზნაურშვილები.

ქალები აივანზედ გავიდნენ, დათაკი კოწიასთან ერთად თავისს ოთახში წავიდა, რომ უკანასკნელად მოელაპარაკნა მომავალ ეგზამენების შესახებ. დათა მარიობის მეორე დღეს უნდა წასულიყო ქუთაისს, სადაც დაჰხვდებოდა გიგო და მერე ერთად წავიდოდნენ რუსეთში. ხვალ-კი მეცადინეობა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მაროს დღეობა იყო და დიდძალ სტუმრებს მოელოდნენ.

როცა დათა და კოწია აივანზედ გამოვიდნენ, დაღამებული იყო. სალომე და მერაბი ნარდსა თამაშობდნენ, ანეტა, მარო და სხვა აზნაურ-შვილები-კი შემოსხდომოდნენ სტოლს და ხელში ბანქო ეჭირათ. ერთი „კალოდა“ კიდევ სტოლზედ ეყარა.

— ოჰ, მობრძანდით, მობრძანდით! შესძახა დათასა და კოწიას ანეტამ: „невольное признаніе“-ს ვთამაშობთ და შემოგვიერთდით! კოწიამ მოიტანა ორი სკამი და შემოუდგა სტოლს.

— მე არ ვიცი მაგის თამაშობა, სთქვა დათამ.

— გასწავლით, მიუგო ანეტამ და აუხსნა, ეს ასე უნდა და ეს ასეო. დათაც დაჯდა სათამაშოდ.

— ამ ქალალდს უყვარს ეს ქალალდი! დაიძახა მაშინვე ანეტამ და აიღო ორი სათამაშო ქაღალდი, მერე გადმოაბრუნა და ისევ დაიძახა: აბა ვისა აქვს ჯვრის ორიანი და ჩერვის ხელმწიფე? ყველამ თავ-თავისს ქაღალდს დაჰხედა.

— ვისა გაქვთ, გამოაჩინეთ! იძახოდა ანეტა და უყურებდა მეზობლების ქაღალდებს. მარომ გადმოაგდო ჯვრის ორიანი.

— ხელმწიფე ვიღასა გაქვთ? ჰყვიროდა ანეტა. ყველანი ჩუმად იყვნენ. კოწიამ დაჰხედა დათას ქაღალდს, დათა გაწითლდა.

— აგერ ყოფილა! დაიძახა კოწიამ და გადმოაგდო ჩერვის ხელმწიფე, რომელიც დათას წაართვა ხელიდგან.

— აა, მომილოცავს! დაიძახა ანეტამ და შეჰხედა დათას: წელანდელი თქვენი ფილოსოფოსობა ეს იყო? ყველამ სიცილი დაიწყო. მარო თავჩაღუნული იჯდა და ეტყობოდა, რომ ძლიერ იტანჯებოდა.

— ამ ქაღალდს შეჰშურდა! დაიძახა კოწიამ, აიღო ერთი ქაღალდი და გადმოაბრუნა. ანეტას ფერმა გადაჰკრა და გადმოაგდო იმისთანავე ქაღალდი.

— აა, კნიაჟნა, შური როგორ გეკადრებათ? უთხრა ერთმა აზნაურმა. ყველამ სიცილი დაიწყო.

თამაშობა გაცხარდა. ყველანი გამხიარულდნენ. დათასა და მაროსაც კი თითქოს დაავიწყდათ წარსული და მომავალი და აწმყოთი გატაცებულნი მონაწილეობას იღებდნენ საერთო მხიარულებაში.

ერთხელ ამოუვიდა დათას, რომ მაროსთვის ლოყაში უნდა გაერტყა ქაღალდი, მაგრამ ჩემზედ იყოსო, სთქვა და გაჭირვება ამითი აიცილა თავიდამ. მეორედ ლექსის თქმა შეჰხვდა. დათამაც დაიწყო: „ტყეს ესხმება ფოთოლი“, მაგრამ „თქვენი, თქვენი ლექსი სთქვითო“, უთხრა ანეტამ, რომელსაც სხვებიც აჰყვნენ და დათამაც შემდეგი გამოცანა-აკროსტიხი სთქვა, რომელიც იმ დღეებში დასწერა:

სანეტარო რამ გრძნობაა, თუმც ხან ცრემლებს გვაღვრევინებს;
იგი ხან გვატკბობს, გვაამებს, ხან-კი ძლიერ გვაწყენინებს;
ყრმის, მოხუცის, დიდის, მცირის გულს ერთ გვარად აცემინებს,
ვართ ყველა მისი მძებნელი, თუმცა ხან ბედს გვაწყევლინებს.
არ ვარგა კაცი უმისოდ, ის ამშვენებს, აღამაღლებს,
რისხვით სავსეს დაამშვიდებს, ამპარტავანს დაამდაბლებს,
უღონოსა, სუსტსა და მხდალს აძლევს ძალას, აამაყებს,
ლამაზს უფრო გაატურფებს, მახინჯსაც კაცს დაამგზავსებს...
იმით შენდება ქვეყანა, თუმცა ბევრი არ აფასებს!...

ყველას მოეწონა ეს ლექსი და შეიქნა „ბრავო“-ს ძახილი და ხმა მაღალი სიცილი და ხარხარი. ანეტა შეეხვეწა, დამიწერეო, და დათაც შეჰპირდა.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვინც აალებინა კალამი პოეტს ხელში, ის ვერ ისარგებლებს იმის ნაწარმოებით და ვიღაც სხვა-კი სტკბება და ჰსიამოვნებს.

დუტუ მეგრელი

(დასასრული იქნება)

## მთავრობის განკარგულებანი

ყუბანის ყაზახთა ჯარის იასაულის ხელქვეითს პეტრე ჭიჭინაძეს ებოძა იასაულობა. იმავე ჯარის ხორუნჟი თავადი ილია გრუზინსკი ასისთავად დაინიშნა.

# გაკვრით

(გზა და გზა და სხვათა-შორის)

„ვილაპარაკოთ, ვიმასლაათოთო“, ასე გაათავა ხმოსანმა მ. ვ. მაჩაბელმა თავისი მართლა რომ სასიამოვნო მასლაათი საბჭოს წარსულს კრებაზედ. საზოგადოდ პატივცემულ მიხეილ ვახტანგის ძეს დიდად უყვარს მასლაათი, ლაპარაკი ყველგან, ბანკის კრება იქნება, თუ საბჭოსი, სულ ერთია. და ან-კი რატომ არ უნდა უყვარდეს, ვითომ რა ურიგოა? თუ ჩვენს მამა-პაპას არა ჰყვარებია მასლაათი, არც ბ-ნს მიხეილს ეყვარება. მთელი გამგეობა ქალაქისა ჭირის ოფლს იწურავს, თვით საბჭო ენით აუწერელს გაჭირვებაშია იმის გამო, თუ როგორ და საიდგან ვიშოვნოთ ფული, რომ მოვალეებს პასუხი გავსცეთო და ქალაქის კასსას დანახარჯი შევუვსოთო. მაგრამ, რა ვქნათ! ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა. კაცი ის არის, ქუდიც იმას ჰხურავს, ვინც გაჭირვებაში არ აჩქარდება, არ აღელდება, წარბს არ შეიხრის და დამშვიდებულის გულით ილაპარაკებს, იმასლაათებს. იმასლაათებს არა მარტო დღეს, არამედ ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც. იმასლაათებს ყველგან, ქუჩაში, ბულვარზე, სახლში, სტუმართან, მასპინძელთან, საზოგადო კრებაზედ. მ. ვ. მაჩაბელიც ლაპარაკობს და ძალიან კარგადაც იქცევა. ვითომ რა მინდოდაო, რომ გამგეობის ერთმა ენამახვილმა და სიტყვა-მოსწრებულმა წევრმა შიგ პირში მიახალა ბ-ნ მ. მაჩაბელს: რატომ, ლაპარაკი კაი საქმეა, მეტადრე კარგი და ჭკვიანური ლაპარაკიო. მაგრამ ცარიელი ლაპარაკი რა თანხაა, ლაპარაკით რა უნდა დაგვრჩეს ხელშიო. ექვსი ათასი თუმანი დავხარჯეთ ხოლერასთან ბრძოლისათვის, ქალაქის საქმეთა დაუბრკოლებლად მსვლელობისათვისაო. საჭიროა ეხლავე ფული; ჩვენ კი გვეუბნებიან, ჯერ ვილაპარაკოთ, ვიმუსაიფოთ კონვერსიების შესახებაო; ეგ არის ბურჯი ყოველის საქმისა, ეგ არის ხსნა და ცხონება ჩვენი. ვილაპარაკოთ აბანოების გამოსყიდვის გამოო და სხვანი.

მაშ როგორ უნდა ნეტავ იმ წევრს გამგეობისას? უსიტყვოდ, ულაპარაკოდ ვაკეთოთ საქმე, ჰა? რაც გვითხრას, ჩვენც „ბალი-ალავო“ ვუპასუხოთ? რაღა გვიქნია! ოპოზიციას აგრე ადვილად არ დავთმობთ. იმდენს ვილაპარაკებ, იმდენს ვიმასლაათებ, ვიდრე ყელი არ ამოგეხახება და ხრინწი არ მომერევა. ცარიელი ლაპარაკი რა თანხააო! თანხაც არის და თავნიცა. მაშ თუ არ ვიმასლაათეთ, რა გაკეთდება? არაფერი. არა, ბატონო წევრო გამგეობისავ! შენ გინდა, რომ ჩვენ ჩუმად ვიყოთ და შენ ილაპარაკო მარტოკა? ვერა, ყველას დავთმობ და მაგ პრივილეგიას-კი შენ ვერ მოგცემ. მე მოლაპარაკე მიხეილ ვახტანგიჩ მაჩაბელს მე...ძა...ხიან!

დიახ, სწორედ ისე გახლავთ, როგორც მ. ვ. მაჩაბელი ბრძანებს. ბატონი გამგეობის წევრი სცდება და ვერც მიხვედრილა ხმოსან მ. ვ. მაჩაბლის ღრმა აზრს. ფულის შოვნა რა სათქმელია? თუ-კი აქამდის ითმენდა ქალაქი უფულობას, დღესაც მოიცადოს. რა დააკლდება? საქმე მასლაათია. ლაპარაკია, ისიც „მიშოსებური“, ლაპარაკი კარგა ხანს, კარგა ჟამს, თუ შეიძლება მთელს დღესაც. გლადსტონმა სამი საათი ილაპარაკაო ‍ⴰ ის უკვირთ. სამი-კი არა, აი სამი დღე უნდა ელაპარაკნა გაბმით, რომ მაშინ იქნებოდა მჭევრმეტყველიცა და დაუღალავი მოღვაწეც.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბ-ნს ხმოსანს, რომ ყოველს საქმეში ლაპარაკია საჭირო და სხვა არაფერი. საქმე თავის თავადაც გაკეთდება. ლაპარაკით უნდა დავიწყოთ და ამითივე გავათავოთ. აი, სწორედ მაშინ აგვიშენდება ოჯახი, მაშინ გაგვეჭიკნება დაცარიელებული ჯიბე. თორემ რასა ჰგავს, თქვენი ჭირიმეთ, გამგეობის თქმა, ლაპარაკი რაში მეპიტნავება, მიჩვენეთ წყარო, სახსარი, საიდგან ვიშოვნოთ ფული, რომ ქალაქის საქმე არ შეჩერდესო, და დაჟინებით გაიძახის, ფული ხვალვეა საჭიროო.

მერე რა უყოთ, ბატონებო, რომ ხვალვე გჭირდებათ ფული! დღეს ხომ ხვალე არ არის, დღეს ვიმაასლათოთ, ვილაპარაკოთ, ავიღოთ, დავიღოთ, როგორც დარბაისელთ შეეფერება, და ხვალ ფულსაც ვიშოვით. დიაღ, ბატონო, ასე. ყოველ გონივრულად მომართულს საქმეში ჯერ ლაპარაკი, მასლაათი და მერე საქმე. მაშ გაუმარჯოს ამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ასეთის მჭევრმეტყველებით დაცულს მოძღვრებასა და პრინციპს: „ვიმაასლაათოთ, ვილაპარაკოთ, ავიღოთ-დავიღოთ, თუნდა მტერი ცხვირ-წინ გვედგას, თუნდა მუცელი ვალალას გვაყრიდეს და შიმშილით კუჭი გვეწოდეს!“

# დაბა ‍ⴰ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. სიღნაღი.** დადგა სამხედრო ბეგარაში გასვლის დრო. გაუჩერდათ იმ ვაჟბატონებსაც სამკალი, რომელნიც ჰყვლეფენ სოფლის გულ-უბრყვილო და გამოუცდელ ხალხს და აბმენ თავიანთ ოსტატურ ობობასაებრ გაბმულ ქსელში. მე მოგახსენებთ „უპატენტო აბლაკატებზედ“. ამისთანა აბლაკატებით-კი სავსებით სავსეა ჩვენი ბედკრული ქალაქი. აქ საზოგადოდ ჩვეულებადა აქვთ, რომელი ვაჭარიც გაკოტრდება, უეჭველად ვექილობას უნდა მოჰკიდოს ხელი. ამ ხელობაში კაცს კაი გამორჩომა აქვს თურმე. აქაურ სამსჯავროს აივანი გაჭედილია ხოლმე ამ აბლაკატებით. არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა, როგორც გაზეთ „ივერია“-ში, ისე სხვა გაზეთებშიაც, გამოცხადებული, რომ ვერავითარ სასყიდლით ვერ გამოისყიდის კაცი თავს, თუკი გამოსადეგია სამსახურისათვის და ერგო „კენჭიო“, მაგრამ ჯერ ისე ბედნიერები არ გახლავართ, რომ ყოველ მხარეს მისწვდეს ჭეშმარიტი დარიგება და ღაღადება ჟურნალ-გაზეთებისა. შარშან ერგო „კენჭი ერთს სოფლელს და დაღონებით თურმე ჩამოიარა გზა-გზა. შეეფეთა წინ ერთი „აბლაკატთაგანი“. ‍ⴰ დაჰპირდა, მე უეჭველად გიშველიო. მიუულბათ გული მამა-შვილს (კენჭ-ნარგებს მამა თანა ჰყავდა), ამოიღეს, მიართვეს აბლაკატს 25 მან. ‍ⴰ წავიდნენ დაარხეინებულნი ამ სიტყვებით: შვილი გადავარჩინე სალდათობას და „კატიტატი“ გავგზავნეო. გაიარა ორმა კვირამ და ჩვენი კენჭნარგები გლეხი, სხვათა შორის, დასეირნობდა სიღნაღში. მამა? მამა დასდევდა უკან გაშავრკინებული. გადაუყლაპეს ფული და ველარც შვილი დაუბრუნდა. „ადვოკატი“? ადვოკატი იმალებოდა, მაგრამ მაინც იპოვა და სტაცა ხელი: ან შვილი დამიბრუნე და ან ჩემი ფული მომეციო. აბლაკატი თავისას გაიძახოდა: „მე ისეთი კაცი ვარ, თუნდა წაიყვანონ, იქიდგანაც დავაბრუნებო“. თითონ ამ სტრიქონების დამწერმა ჰნახა, რომ გაავთრებულ გლეხს ძლივ ძლიობით იჭერდნენ, საცემლად იწევდა აბლაკატზედ. მგონი ზოგი ფული გამოურთვეს, ზოგსაც შეჰპირდნენ, მალე გამოგირთმევთო.

ჩვენის აზრით, გაზეთები ისეთ სამსახურს ვერ გაუწევენ სოფლის ხალხს ამ შემთხვევაში დარიგებით და ჩაგონებით, როგორც სამხედრო საკრებულოს კანცელარიის საქმის მაწარმოებელნი. ამათთან უფრო ხშირადა ტრიალებს სამხედრო ბეგარაში გასაწვევი ხალხი. სიღნაღის მაზრის სამხედრო კანცელარიაში მსახურობს საქმის მწარმოებლად ბ-ნი ი. დ. ქიტიაშვილი და დიდს სიკეთეს, დიდს მადლს გაუწევდა მთელ სიღნაღის მაზრას, ჩაეგონებინა, რომ არ გაბრიყვდნენ, ვილაც ადვოკატების ქსელში არ გაებნენ კვლავინდებულად.

ერგებათ ხოლმე თუ არა კენჭი, ახალი მხედრები დაერევიან ხან დუქნებ წინ გამოფენილ სანოვაგეს და ხან უშვერის სიტყვებით მიჰმართავენ გამვლელ გამომვლელ დედაკაცებს. ვინ იცის, რას არ სჩადიან, „სალდათები“ ვართ და გვეპატიებაო. ამისთანა ამბები წინად უფრო ხშირი იყო. ამათი კეთილი დამრიგებელი და ჩამგონებელი ორ ნაირად იქნება დაჯილდოებული: 1) დაიმსახურებს საზოგადო სიყვარულს და 2) ააცდენს უსარგებლო ხარჯს ხალხს. ასეთი სიკეთე მცირე სიკეთე არ არის.

ერთი საზოგადო ვარამიც ჩვენის ხალხისა. მოგეხსენებათ, რომ საზოგადოდ ჩვენს სიღნაღის მაზრას ამ უკუღმართს ვარსკვლავზედ დაბადებულმა წელმა ვერაფერი სიკეთე მოუტანა. ისე გაუკუღმართდა ჩვენი ცხოვრება, რომ ენა ვერ გამოსთქვამს. რამდენი ვაი-ვაგლახი და ჭირი არ გამოიარა წელს სიღნაღის მაზრამ! რა არ დაატყდა თავზედ ხალხს! თაგვი, კალია, მოუსავლობა, ხოლერა, ქუნთრუშა, ყივანა-ხველა, პირის ტკივილი და სხვ. პირის ტკივილი ეხლაც-კი არის. ამაებს გაუძლო და უძლებს ხალხი. იტანჯება ათასი და ლივლივებს ერთი! ლივლივებს ის ვაჟბატონი, რომელსაც ხალხი წურბელას ეძახის. ნამეტნავად ამისთანა შავ-უკუღმა დროს ფართფაშობენ ქვეყნის მჭამელნი. ერთად-ერთი სახსარი-ღა დარჩა ჩვენს მშრომელს—წრევანდელი ვენახები და როგორი? უნდა შესულიყავით, გენახათ და თვით დამტკბარიყავით. განა იმაზედ კარგს სანახავს ჰნახავდა ადამიანის თვალი? სხმით მშვენივრად, უნაცრო და უზადო ყურძენი ესხა. მაგრამ უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო. სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს მაზრის ხალხსაც. შედის გლეხი ვენახში, ჰხედავს მშვენიერს მოსავალს და იქნევს თავს, ბუტბუტებს მწარედ: „შე ოხერო, ვინ უნდა წაგიღოს, ან ნეტავ არც-კი მოსულიყავიო“. მართლაც და წელს ბევრი მკვიდრი დარჩება ხელ-ცარიელი თავის მოსავლიდგან. დიაღ, კარგი მოსავალი ჰქონდა, მაგრამ, ნათქვამია, „ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და შეჭამადი—ძაღლსაო“. წელს ჩვეულებრივზედ ადრე დაიწყო ხარჯის მოკრეფა საბატონოს (выкупные платежи) და აგრეთვე სახელმწიფოსი. ჯერ სულ ბეგარაზედ იყო ხალხი და თავისს თავს ველარა არგო-რა, ახლა კიდევ ეს ხარჯები უნდა გაესტუმრებინა. აბა ვის მიჰმართოს სოფელმა, თუ არა ვაჭარს და ფულის პატრონს? ამ ვაჟბატონებმაც წინა დღითვე დაიკვეთეს ტკბილი და 40—50—60 კაპ. ჩაფს აღარ გადააცილეს. იქნება არ დაიჯეროთ? ნუ დაიზარებთ, ვისაც არა გჯერათ ჰკითხეთ გურჯაანელებს, ვეჯინელებს და ჩალაუბნელებსა და სხვებს. ერთმა ვეჯინელმა მოხუცმა კაცმა მე თითონ შემომჩივლა: „შვილო, იქნება არ დაიჯერო, მაგრამ მაინც ვიტყვი გულის მოსაფხანადაო. ემ თორმეტ მანათში, და თან მაჩვენა ფული, ოც-და-ორი ჩაფი ტკბილი უნდა მივცეო. ის ტკბილი, რომელიც, თუ დამაცლიდნენ, ერთ თთვის შემდეგ 30 მან. გავყიდდიო, რა მე, რა სხვაო. დავიღუპენით წელს, დავიღუპენითო!“ მოდით და ნუ იტყვით წლევანდელ ვენახების მოსავალზედ: შინ პატრონსა სწყვეტს გულს და გარედ მტერსაო.

ადრევ სირაჯი იღებდა ვეება ლაზლშემოკრულ ჩაფით და თითქმის ერთ ხელადას ამოაყოლებდა ერთ ჩაფის ამოღებაში მარდი ამომღები. ეს კარგა ხანი ითმინა ვენახის მეურნემ, მაგრამ, განა არ იცით, ერთხელაც იქნება მოთმინების ფიალა აივსება. და ველარ მოითმინა სოფლელმაც. საჩივრები ბევრი გაიმართა. ეხლა ეს ლაზლები აღარ არის, მაგრამ არც ამაზედ ნაკლები ოსტატობა შემოუღია ჩვენს დარბაისელს სირაჯს. ეხლა ისეთი სწორე ჩაფი გაუკეთებიათ, რომ მეტსაც ამოაყოლებს ხელადაზედ. ჩაფს აქვს შუა წელამდე წვრილი ტანი, შუას ზევით განიერი და ყელთან გაშლილი ვაკე, ცოტა დაბლა ჩაღრმაებული, ასე რომ ზემოდგან ჩაფს გუბე ადგება ყელს ქვემოდ მუცელზედ და ამით მარდი ამომღები ცოტ-ცოტად თითო ჩაფს ერთ ჩარექს ამოატანს.

ოქტომბრის თთვის 5, საღამოს საშინელი ელვა, ქუხილი, ღვართქაფი და სეტყვა მოვიდა ზოგიერთ სოფელში, შიბლიანსა, ჯიმითსა, ნანიანს, არაშენდას და გისბალუბზედ. ზოგან, ამბობენ, ბევრი საქონელი დააზარალაო. მაგალ., ალ. ბარნაბიშვილს 120 სული ცხვარი მოსტაცა ნიაღვარმა. აქეთ გუთნებს სულ მორჩნენ, მაგრამ ფარცხვა ძლიერ დაუგვიანდათ, რადგან ზოგ-ზოგ ალაგას თაგვი იყო ბევრი.

ქართველი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Недѣля“-ს რუსეთის საზოგადოების საქვეყნო საქმეში უთაოსნობისა და უგულობის მიზეზად სამართლიანად მიაჩნია რუსეთის ცხოვრების სხვა-და-სხვა პირობანი და გარემოებანი. ქვეყნისთვის მზრუნველნი და თავ-გამოდებულნი კაცნი მხოლოდ იქ აღიზრდებიან, სადაც საჭირო დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას არ არის მოკლებული მოზარდი თაობა. საჭიროა, რომ ყოველს საქმეში, რაშიაც-კი მონაწილეობას იღებს კაცი, დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს. როცა კაცი სულით დაცემულია და მხნეობას მოკლებული, რომ საზოგადოების სასარგებლო მოქმედება და მოღვაწეობა შეიძლოს, ეს აშკარა ნიშანია იმისა, რომ იმ ერის ცხოვრება, რომელსაც ეკუთვნის ასეთი მოღვაწე, თავისუფლების ძალა-გამოცლილია და დამოკიდებულ ცხოვრებას მიჩვეული. სწავლა-განათლებისა და კულტურის მხრივ აღყვავებული ერი მაშინ არის, როდესაც თვით-მოქმედებას არის შემძლე. როცა მთელი ერი იღებს მონაწილეობას თავის სამშობლოს ბედ-იღბლისა და ავ-კარგიანობის საქმეში, როცა მთელის ერის აზრითა და ჭკუა-გონებით სწყდება და ირკვევა ეს საქმეები, მაშინ თვით ერიც იზრდება, ფეხს იდგამს, სულით მაღლდება, ჭკუით ბრძენდება, გულით სხვის ვარამის თანამგრძნობელი, შემბრალებელი, კაც-მოყვარე ხდება; როცა ხალხის ჭკუა-გონებას, ყოველ-დღიურს წვრილმანებში ჩაბმულს და ვიწრო თავ-მოყვარეობის წრეში ბრუნავს, საზოგადო კეთილდღეობისა და სამშობლოს ბედნიერების ზრუნვა-წუხილის ასპარეზზედ გამოვიყვანთ, მაშინ გაშლის ფრთას ეს ჭკუა-გონება, სულს ჩაიდგამს და დაჰბადავს მხნეს და ძლოვანს ინტელიგენციას—ნასწავლ თაობას.

დასასრულ ამ ნათქვამს გაზეთი დასძენს, რომ ეს არის ერთად-ერთი გზა ერის განვითარებისა ‍ⴰ ერთად-ერთი საშუალება, რომ მხნე და ძლოვანი, ჭკუა-გონებით ფრთა-გაშლილი მოზარდი თაობა ჩვენშიაც გაჩნდეს და დაიბადოსო.

# უცხოეთი

**გერმანია.** სამხედრო პროექტის მომხრენი კიდევ თავისას არ იშლიან და გულს უხეთქავენ საზოგადოებას, დიდი შიში მოელის გერმანიას დასავლეთიდგანა და აღმოსავლეთიდგანაო. ეს არის ეხლა მოსულ თავისუფალ კონსერვატორთა გაზეთს „Post“-ში მთელი წერილია დაბეჭდილი რუსეთის ჯარების მოძრაობის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ რუსეთი ჯარებს აწყობს და სამხედრო სამზადისშიაო. სამხედრო პროექტის მოწინააღმდეგენი კიდევ სცდილობენ დააფოლონ მნიშვნელობა ამ პროექტისა და კაპრიკი, ამ პროექტის მომხრე, დაამარცხონ მისის წინა მოადგილეს საბუთებით. მაგალითებრ, „Vossische Zeitung“-ი არჩევს წიგნაკს კეიმასას, რომელიც იმ აზრისაა, რომ გერმანია სატევ ბრძოლისათვის უეჭველად მომზადებული უნდა იყოსო, და პასუხად შემდეგი ადგილი მოჰყავს ბისმარკის მიერ 1888 წელს რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვიდგან: „დღეს რომ გამოვსულიყავ თქვენს წინაშე და მეთქვა: დიდი შიში მოგველის რუსეთისა და საფრანგეთის მხრივ, ჩემის აზრით, ჩვენთვის დიდად სასარგებლო იქნება, თუ გვინდა თავი გადავარჩინოთ როგორმე საფრთხეს, თვით ჩვენვე დავესხნეთ და დავეცნეთ ჩვენს მტრებს, ვგთხოვთ ერთი მილიარდი ან ნახევარ მილიარდი მომცეთ, რომ დღესვე დავიწყო ომი და ბრძოლა ორსავე მეზობელ სახელმწიფოსთან-მეთქი. დიახ, ასე რომ მეთქვა, არ ვიცი, იმდენს ნდობას აღმომიჩენდით, რომ ეს ჩემი თხოვნა შეგესრულებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი მაქვს, რომ ჩემს სიტყვას არ დაჰყვებოდით. მაგრამ რომ დაჰყოლოდით კიდეც და დამთანხმებოდით, ეს ჩემთვის კიდევსაკმარისი არ იქმნებოდა. ასეთის ბრძოლის დასაწყებად საჭიროა, რომ მთელმა ერმა დამრთოს ნება-რთვა, მთელი ერი დაჰყვეს ჩემს სიტყვას და თვისი თანხმობა გამოაცხადოს“. შემდეგ ბისმარკმა განაცხადა თურმე, რომ გერმანიის ერი არასოდეს არ იკისრებს ასეთის ბრძოლის დაწყებას, რადგან ძნელად გამოსაცნობია, ვინ გაიმარჯვებსო. საზოგადო აზრი ამ სიტყვისა ის არის, რომ გერმანიისათვის, რაც უნდა მომზადებული იყოს, უფრო სასარგებლოა და ხელ-საყრელია, რომ მტრის მოსაგერებლად იყოს მზად და არა მის თავს დასაცემადაო. ბისმარკი მტრად აქ რუსეთსა და საფრანგეთს ჰგულისხმობს. „მაშინ (თუ მტერი თითონვე დაგვეცა თავს) მთელი გერმანია, მემელიდგან დაწყებული ბოდენის ტბამდე, თოფის წამალსავით აფეთქდება და საჭურველს აისხავს; მაშინ ვერც ერთი მტერი ვერ შეჰბედავს ამ ფეხზედ წამომდგარს გმირთან შებრძოლებასა და გამკლავებას. ეს უპირატესობა არ უნდა დავივიწყოთ, მით უმეტესს, რომ ამ აზრისანი არიან არა მარტო გერმანიის მცოდნე და გაგებულნი კაცნი, არამედ სხვა სახელმწიფონიცაო.“

**იტალია.** ავსტრიისა და გერმანიის გაზეთები ამბობენ, ვითომ ამას წინად რამდენმამე კარდინალმა პაპს თავისი აზრი წარუდგინეს იმ გარეშე პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ადგა აწ პაპის ტახტიო. ამ კარდინალებმა განაცხადეს: ცუდი შედეგი ექმნება რომის ეკკლესიის საკათოლიკე ხასიათისა და წმ. ტახტის ინტერესისათვის იმ გარემოებას, რომ უკუ ვუდგებით დიდთა სახელმწიფოთა სამთა კავშირს და ჩვენი პოლიტიკა საფრანგეთს დაუქვემდებარეთო. ხმა დადის, ვითომ პაპმა უპასუხა, რომ ყოველ ჩემს საქმესა და მოქმედებაში ამ ქვეყნიერ, წარმავალ ინტერესებით არა ვხელმძღვანელობ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტს გზას ვადგევარო.

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადავუხადო იმათ, რომელთაც გამოიღეს თავისი წვლილი მაკვანეთის პირველ დასაწყისის სკოლის სასარგებლოდ.

აი შემომწირველთა სახელი და გვარი: ანტონ კომპანიონ—2 მან., გიორგი ბარათაშვილი—2 მან., თ. კიკვაძე—2 მან., მიხაკო ასალოს მე თალაკვაძე—1 მ. 50 კ., ვინჩე დათებოვი—1 მან., პავლე გიორგაძე—1 მან., ტიმოთე აბესაძე—1 მან., პარმენ კობახიძე—1 მან., ნიკიფორე ყორყოლიანი—1 მან., გიორგი ღოღობერიძე—1 მან., ვანო შეყილაძე—1 მან., ალექსანდრე სუხიაშვილი—1 მან., სიმონ გველესიანი—1 მან., პეტრე დევდარიანი—1 მ., ნიკოლოოზ ზურაბოვი—1 მან., ვანო დიდიმამოვი—1 მან., ნიკო ცერცვაძე—1 მან., მერაბ სამხარაძე—1 მან., მაქსიმე სამხარაძე—1 მან., ალექსანდრე ჩუბინიძე—1 მან., ალექსი ფანჩულიძე—1 მან., გრიგორ ქებაძე—60 კ., ვლადიმერ ურდია—60 კ., დანიელ მოდებაძე—60 კ., ვასილი გავრილოვი—60 კ., ალმასხან საბაშიძე—40 კ., გრიგორ ფარსადანოვი—40 კ., ილია მოდებაძე—40 კ., კოტე ოჭანესოვი—40 კ., კოსტა ბუაძე—40 კ., პლატონ ქებაძე—40 კ., პანაიოტ კაკულიდუ—35 კ., ასპან გურჯიძე—30 კ., მიხა ჩიხლაძე—1 მან. სულ 30 მან. და 95 კაპ. ამ ფულის 2 მანეთად ნახევარ წლის ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოვუწერეთ სკოლას, 35 კაპ. ფოსტის ხარჯად წავიდა და დანარჩენი 20 მან. და 60 კაპ. ფულად გაეგზავნა ხსენებულს სკოლას.

თ. კიკვაძე

ს. ჯოყოეთი.

1892 წ. 23 ოქტომბერი.

## დეპეშა

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ვენგრიის სამინისტრო ვეკერლესი იმ გვარად შესდგა, რომ ყველა წინანდელმა მინისტრებმა თავ-თავისივე პორტფელი მიიღეს.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა ბეჭდვითის სიტყვის შესახების კანონპროექტის განხილვაშია; დარბაზში ხალხი დიდად აღელვებულია; ტრიბუნები საზოგადოებით არის სავსე; ძნელია ამ თავითვე თქმა, რითი გადაწყდება დეპუტატთა სჯა და თათბირი. ლაპარაკის დროს მემარჯვენეთა წევრმა დე-მენმა განაცხადა: აწინდელის საქმეთა მდგომარეობის მიზეზი ის არის, რომ ხალხი სარწმუნოების მოთხოვნილების წინაამდეგ იზრდებაო.

**ბერლინი.** ხვალ საღამოს ახალს სასახლეში მოვა იმპერატორის სანახავად დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. პარასკევს მისი უმაღლესობა იმპერატორთან ერთად Goerde-ს ინადირებს და იქიდგან იმპერატორთან ერთადვე ბერლინს დაბრუნდება. მოელიან აგრეთვე დიდს მთავრინას მარია პავლეს ასულს.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,10 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238¼ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 190¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . . | 99,62 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

**ფოთიდგ გადისან:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ლ საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში რკინის გზის სადგურზედ გამომცემელ ხეთერელთან, ტფილისში „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიებში და აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიაში ლეგენდა ლექსად ა. ცახელისა:

**ზარნაშო.**

ფასი სამი შაური.

(4—3)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—134)

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № ⁹/₂, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.

(10—6)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში საყმაწვილო წიგნი სურათებით ლექსად შ. მღვიმელისა




ფასი 20 კაპ. 5—4

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—17)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.